Published by TSU Press | DOI: [https://doi.org/10.62119/sjn.27.2026.12245]
© Irine Modebadze, 2026 | ISSN 1512-2514 (print) | E-ISSN 2346-772X (online)
This is an open access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License (CC BY-NC 4.0).
https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/
Sjani 27 (2026), [pp. 234-250]
sjani.ge

გრიგოლ რობაქიძის ესსე „Мережковский“, 1909
Grigol Robakidze's essay „Мережковский“ /„Merezhkovsky“/, 1909

ირინე მოდებაძე
Irine Modebadze
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
საქართველო, თბილისი
Georgia, Tbilisi

Received [1 May, 2026] | Accepted [1, July, 2026] | Published online [3 November]

Abstract

In 1923 in his letter "Pro domo sua" Grigol Robakidze noted the great importance of symbolism for his work of the 1910s-20s. Today, the focus of our attention is on Robakidze's opinion of the philosophical-aesthetic concept of Dmitry Merezhkovsky.

Robakidze published an critical article-essay "Merezhkovsky", which was printed (in Russian) in two issues of the newspaper „Закавказье“ ("Zakavkaz'ye") in 1909 (April 25 - № and April 26 - № 66)). The letter is dedicated to Merezhkovsky's trilogy "Christ and the Antichrist," but for Robakidze these texts became an excuse to talk about Merezhkovsky's symbolic vision of history and the probable future of humanity: the essay consists of five parts, each of which reflects Robakidze's point of view on various aspects of Merezhkovsky's philosophical-aesthetic principles.

In the first part, Robakidze discusses the trilogy's "*scheme of artistic symbols*". The opposition of two symbolic "reality" emerges: cold, "*dead*" marble ↔ "*alive*" but disembodied spirit. Since one lacks a soul and the other lacks a body, both are imperfect and they strive towards each other. The "*real doubling of world the existence of*

the world" is presented as a struggle between two world powers. In their struggle, the "*religious salvation of the meaning of world history*" is read. Their reconciliation in the "*highest religious synthesis*" is inevitable. Then the "*third revelation, the revelation of the Spirit*" will appear and a "*new heaven and a new earth*" will emerge. According to Robakidze, this is precisely the symbolic meaning of the trilogy. The second part discusses the "*mysticism*" of Merezhkovsky's trilogy. Robakidze characterizes Merezhkovsky as a "*deep mystic and gentle poet."* In the third part of the letter, Robakidze focuses on the symbolic perception of history and the "*sense of infinity*." The fourth part substantiates Merezhkov's vision of the crisis of consciousness and spiritual duality. Robakidze speaks about Merezhkovsky's vision of the future of humanity in the fifth, concluding part of his letter. Robakidze's letter does not mention the last novel of the trilogy. It seems that the writer was less interested of its problematic (the issue of the compatibility of the church with the interests of the state).

Speaking about the prophetic talent of the Russian thinker, Robakidze again returns to the issue of his mysticism, but in Robakidze's opinion, Merezhkovsky himself "*has less ability to act than anyone else.*" As a rule, the background of the text is the events that exist outside the text, and if we compare Robakidze's letter and the chronology of historical events, it becomes clear that in "Action," Robakidze conveys his dissatisfaction with the practical results of Merezhkovsky's "Religious-Philosophical Societys" activity.

In his critical assessments, Robakidze was far ahead of the criticism of the time, but it is no less important that for him Merezhkovsky's trilogy became an occasion to talk about the importance of a symbolic vision of history and the probable future of humanity.

Keywords: Robakidze, "Merezhkovsky", Merezhkovsky's philosophical-aesthetic principles, essay, bilingualism

საკვანძო სიტყვები: როზაქიძე, „Мережковский“, მერეჟკოვსკის ესთეტიკურ-ფილოსოფიური პრინციპები, ესეისტიკა, ბილინგვიზმი

1923 წლის ავტობიოგრაფიულ წერილში „Pro domo sua“ გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმბოლიზმს მისი 1910-20-იანი წლების შემოქმედებისათვის (იხ.: რობაქიძე, 2012), ხოლო 1927 წლის 9 სექტემბერს შტეფან ცვაიგისთვის მიწერილ წერილში წერდა: *„ჩემი ესთეტიკური ხაზი იყო (და რჩება): შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, პოლ კლოდელი, რაინერ მარია რილკე, სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი, ნიცშე, როზანოვი, მერეჟკოვსკი, ვ. ივანოვი, ალ. ბლოკი, ანდრეი ბელი*“ (Робакидзе, 2004)[1]. ამ მსოფლიო ლიტერატურის ვარსკვლავური სახელების ჩამონათვალში საპატიო ადგილი უჭირავს დმიტრი მერეჟკოვსკის სახელს. ბოლო წლებში საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში შეინიშნება გრიგოლ რობაქიძის და დიმიტრი მერეჟკოვსკის ურთიერთობისადმი ინტერესის ზრდა, მაგრამ რობაქიძისა და მერეჟკოვსკის მსოფლმხედველობის თანხვედრის/სხვაობისა და მხატვრულ შემოქმედებაში არსებული/არარსებული პარალელების საკითხი ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. დღეს ჩვენი ყურადღების ცენტრშია რობაქიძის შეხედულება დმიტრი მერეჟკოვსკის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ კონცეფციაზე.

1909 წელს გაზეთ „Закавказье“-ს[2] ორ ნომერში (25 აპრილის № 65, და 26 აპრილის № 66) გამოქვეყნდა რობაქიძის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი ლიტერტურულ-კრიტიკული წერილი «Мережковский». წერილი ეძღვნება მერეჟკოვსკის ტრილოგიას «Христос и Антихрист» (1895-1905) /„ქრისტე და ანტიქრისტე“/, რომელიც მოიცავს სამ ისტორიოსოფულ რომანს.

1. «Смерть богов. Юлиан Отступник» (1895) /„ივლიანე განდგომილი. ღმერთების სიკვდილი“/ ასახავს IV საუკუნის რომის იმპერატორის ფლავიუს კლავდიუს იულიანეს ცხოვრებასა და მის მცდელობას, რომ ქრისტიანობის სულ უფრო მზარდი პოპულაროზის პირობებში განახლებული სახით აღადგინოს მზის კულტი.

2. რომანში «Воскресшие боги. Леонардо да Винчи» (1900-1901) /„აღმდგარი ღმერთები. ლეონარდო და ვინჩი“/ ლეონერდო და ვინჩის ცხოვრება აღწერილია აღორძინემის ხანაში განახლებული ანტიკური ესთეტიკისა და შუასაუკუნეების ინკვიზიციის ჩამოყალიბების დაპირისპირების კონტექსტში.

3. მესამე – «Антихрист. Пётр и Алексей» (1904-1905) /„ანტიქრისტე. პეტრე და ალექსეი“/ ეკლესიის მსახურებასა და სახელმწიფო ინტერესებს ეხე-

[1] 2004 წელს წერილი გერმანულიდან რუსულად თარმნა და გამოაქვეყნა კონსტანტინე აზადოვსკიმ, მოყვანილი ციტატის ქართული თარგმანი – ***ო.მ.***

[2] პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი (თბილისი, 1906-1914). ასახავდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეხედულებებს.

ბა: პეტრე I გამოყვანილია ანტიქრისტედ, ხოლო „ცარევიჩ“ (უფლისწული) ალექსეი რწმენის დამცველად.

როგორც წესი, სათაური ტექსტის უნიკალურ ინფორმაციულ ნაწილს წარმოადგენს. ლ. ს. ვიგოტსკის განმარტებით, ის *„შინაარსის დომინანტაა“* (Веселова, Овчаренко, 2011, გვ. 205) და მკითხველს ნაწარმოების ძირითად მნიშვნელობაზე მიუთითებს. ასეთია დმიტრი მერეჟკოვსკის ტრილოგიის სათაურიც: „ქრისტე და ანტიქრისტე“. ტრილოგიის რომანებს ავტორი მიიჩნევდა განუყოფელ ერთობლიობად, რომელშიც აისახა მისი ხედვა „ახალ რელიგიურ ცნობიერებაზე“, „ისტორიის ფილოსოფიაზე“ და „კაცობრიობის მომავალზე“ (იხ.: Полонский, 2008; Полонский, 2009). არანაკლებ მნიშვნელოვანია გრიგოლ რობაქიძის წერილის სათაურიც: იმის მიუხედავად, რომ ის ეძღვნება მერეჟკოვსკის ტრილოგიას, რობაქიძის მიერ შერჩეული სათაური ნათლად მიგვანიშნებს, რომ სინამდვილეში საუბარია არა ტრილოგიის რომანებზე, არამედ მწერლის შემოქმედებით და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ პრინციპებზეა.

გრიგოლ რობაქიძის წერილი შედგება ხუთი ნაწილისგან. მართალია მათ არ გააჩნია ქვესათაურები, მაგრამ თითოეული ასახავს რობაქიძისეულ თვალსაზრისს მერეჟკოვსკის კონცეფციის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

I. პირველ ნაწილში განხილულია ტრილოგიის *„მხატვრული სიმბოლოების სქემა“.* რობაქიძის აზრით, ის უკავშირდება მწერლის პირად გამოცდილებას, კერძოდ, საბერძნეთში მოგზაურობისას ელინურ კულტურასთან ზიარებას – „დიონისური სულისკვეთების“ უშუალო შეგრძნებას. მარმარილოსადმი სიყვარულში გამოიხატება ელინური ხელოვნების სილამაზის შეგრძნება. მისი სიცივე მერეჟკოვსკის გადააქვს ხორციელ სიყვარულზე, მაგრამ მარმარილოს სილამაზე მოკლებულია სიცოცხლეს. ასე იქმნება სიმბოლოების ასოციაციური ჯაჭვი: მარმარილოს სიცივე (სიცოცხლეს მოკლებული სილამაზე) → ხორციელი (დიონისური) სილამაზის (სიყვარულის) არასრულყოფილება. სიცოცხლეს მოკლებულ მარმარილოში იგრძნობა *„მასში „გამომწყვდეული სული“* (ცხადია, საუბარია მარადიული სიცოცხლის ქრისტიანულ გაგებაზეა). ჩნდება ორი სიმბოლური „რეალობის“ ოპოზიცია:

ცივი, *„მკვდარი“* მარმარილო ↔ *„ცოცხალი“,* მაგრამ უსხეულო სული.

ვინაიდან ერთი სულს, ხოლო მეორე სხეულს მოკლებულია, ორივე არასრულყოფილია და ისინი მიისწრაფიან ერთმანეთისკენ: *„მარმარილო სიცოცხლეს ეძიებს სულში; მარმარილოში სული ეძიებს სხეულს“* (გვ. 42)[1].

[1] აქ და შემდგომ (გვერდების მითითებით ფრჩხილებში) რობაქიძის ტექსტის ციტატები მომყავს მანანა კვატაიას თარგმანიდან (რობაქიძე, 2014).

ამგვარად განმარტებული „ელინური მარმარილო“ იგივდება მიწიერთან /ხორციელთან (დიონისურთან) და გაგებულია, როგორც წარმართული, დემიურგის (მამა-ღმერთის) მიერ შექმნილი (ანუ ძველი აღქმის) რეალობა, ხოლო სულიერი სილამაზე გაიგივებულია (ძის მიერ ხსნილ) ციურთან = ქრისტიანულ (სახარებისეულ) რეალობასთან. რობაქიძის აზრით, მერეჟკოვსკი *„შეიგრძნობს „სამყაროს ყოფიერების რეალურ გაორებას“*, რომელიც *„მის შემოქმედებით წარმოსახვას წარმოუდგება, როგორც რაღაც დასაგამისმიერი ბრძოლა ორი მსოფლიო ძალისა“.* მათ ბრძოლაში იკითხება *„მსოფლიო ისტორიის საზრისის რელიგიური ხსნა“*. მათი მორიგება *„უმაღლეს რელიგიურ სინთეზში“* გარდაუვალია. მაშინ კი თავს იჩენს *„მესამე გამოცხადება, გამოცხადება სულისა“* და გაჩნდება *„ახალი ცა და ახალი მიწა“* (გვ. 42).

რობაქიძის აზრით, სწორედ ესაა ტრილოგიის სიმბოლური აზრი. მისი თქმით, *„მერეჟკოვსკი-შემოქმედი სხეულის ესთეტიკიდან სულის რელიგიაში გადავიდა; მარმარილომ, ვითარცა სიმბოლომ, სული გამოიწვია, როგორც რეალობა: სიმბოლო რეალობად იქცა <...> ამგვარია მხატვრულ სიმბოლოთა სქემა, მერეჟკოვსკიმ ტრილოგიაში რომ გახსნა“* (გვ. 43) – დაასკვნის იგი.

საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ ამგვარად გაგებულია ტრილოგიის სიმბოლური მნიშვნელობა თანამედროვე რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც. კერძოდ, ცნობილი რუსი ემიგრანტოლოგი ვადიმ პოლონსკი აღნიშნავს, რომ *„ისტორიული ფიგურების ნიღბების ქვეშ“* სამივე ნაწარმოების გმირები *„განასახიერებენ ისტორიაში მარადიულად საპირისპირო უნივერსალური პრინციპების თითქმის „კოსმიურ“ ბრძოლას – წარმართული, „ანტიქრისტეს“ ხორციელი უფსკრულის და, ავტორის აზრით, ისტორიული ქრისტიანობის ასკეტიზმით „გარყვნილი“ „სულის უფსკრულისა“* (Полонский, 2009), მაგრამ იმდროინდელი კრიტიკის მიერ ტრილოგია სხვაგვარად იყო შეფასებული და რობაქიძემ თავისი წერილის მეორე ნაწილი ამ საკითხს მიუძღვნა.

II. მეორე ნაწილში განხილულია მერეჟკოვსკის ტრილოგიის მხატვრულობის *„მისტიციზმი“* (ანუ *მდუმარება* რელიგიური გაგებით). ეს ნაწილი პოლემიკური ხასიათისაა. საქმე ის გახლავთ, რომ მერეჟკოვსკის ტრილიგიას ძირითადად უარყოფითად გამოეხმაურა იმდროინდელი რუსული კრიტიკა. რუსული მწერლობისთვის ისტორიოსოფული რომანი დიდი სიახლე იყო და XIX საუკუნის სრულიად სხვა ტიპის ისტორიული რომანების ფორმას შეჩვეული კრიტიკოსები ავტორს მხატვრულობასთან შედარებით იდეის პრიორიტეტულობის გამო საყვედურობდნენ, ხოლო თეოლოგ-ფილოსოფოსები თვით „ქრისტე და ანტიქრისტეს სინთეზის იდეას“ ერეტიკულ მკრეხელობად მიიჩ-

ნევდნენ (იხ. მაგ., ნიკოლაი ბერდიაევის (Бердяев, 2001), ნიკოლაი ლოსკის (Лосский, 1991) და სხვათა შრომები).

რობაქიძე მერეჟკოვსკის ახასიათებს, როგორც *„ღრმა მისტიკოს და ნაზ პოეტს“* (გვ. 44). მისი აზრით, მერეჟკოვსკის ტრილოგიის დაბალი მხატვრულობის შესახებ გამოთქმული აზრი *„მცდარი მოსაზრებაა: იგი გაუგებრობაზეა დამყარებული. მისი ტრილოგია, როგორც მხატვრული მთლიანობა, მას იმიტომ კი არ გამოუვიდა, რომ შემოქმედი არ არის, არამედ იმიტომ, რომ მისი თემა – მსოფლიო გენიოსის თემაა. თუმცა მერეჟკოვსკი საკმარისად ნიჭიერია, რომ ის, რაც მას სჭირდება, უჩვეულო შემოქმედებითი ძალით გახსნას“* (გვ. 43). მეტიც: ტრილოგიის პირველ რომანს რობაქიძე ადარებს „ნორვეგიელ შექსპირად“ წოდებული *„იბსენის მსოფლიო დრამას“*, რომელიც, მისი აზრით, მერეჟკოვსკის რომანზე „ივლიანე განდგომილი“, *„მხატვრული მთლიანობის თვალსაზრისით, უდავოდ მაღლა დგას“*, მაგრამ *„ცალკეული მხარეები, რომელთაც დიდი სიმბოლური აზრი გააჩნია, მერეჟკოვსკისთან გაცილებით ღრმად იხსნება, ვიდრე იბსენთან“* (გვ. 43). აღსანიშნავია, რომ სიმბოლიზმის პოეტიკის მკვლევარი, იური ლოტმანის თანამოაზრე, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე და კულტუროლოგი ზარა მინციც (1927-1990) „ივლიანე განდგომილის“ ტიპოლოგიურ მსგავსებას ევროპული ლიტარატურიდან მხოლოდ ერთ ნაწარმოებთან ხედავს: ჰენრიკ იბსენის დრამასთან „კეისარი და გალილეველი“ (იხ.: Минц, 2004, გვ. 223-241).

III. წერილის მესამე ნაწილში რობაქიძე ყურადღებას ამახვილებს მერეჟკოვსკისთვის დამახასიათებელ ისტორიის სიმბოლურ აღქმაზე და „უსასრულობის შეგრძნებაზე“. მისი თქმით, *„მერეჟკოვსკი არა მხოლოდ მხატვარი, არამედ ბრძენიცაა (არა ფილოსოფოსი): იგი მეტია, ვიდრე პოეტი, ის – წინასწარმჭვრეტელია. ვგულისხმობ მარადისობის მომენტს, რამდენადაც იგი მის მხატვრულ განჭვრეტას განსაზღვრავს. <> ის გრძნობს სხვადასხვა დროს, იგი შეიგრძნობს ისტორიას და თანაც: ერთიც და მეორეც sub specie aeterni (სამუდამო გამოსახულებით – ლათ.)“* (გვ.45). მერეჟკოვსკისთვის დამახასიათებელია *„ზეისტორიული წარმოდგენა“* (*«сверхисторическое представление»*): *„ისტორიის მხატვრული აღქმისას მერეჟკოვსკი მკაცრი სიმბოლისტია: მისთვის ისტორია გეომეტრიულად დასრულებულ სიმბოლოთა რიგია და მასთან არა მხოლოდ საგნები, არამედ პიროვნებებიც სიმბოლური არიან“* (გვ.46).

IV. მეოთხე ნაწილში დასაბუთებულია ცნობიერების კრიზისისა და სულიერი გაორების მერეჟკოვკისეული ხედვა. რობაქიძის აზრით, *„თანამედროვე ცნობიერების კრიზისი მერეჟკოვსკიმ სხვებზე უფრო ძლიერად განიცა-*

და და სხვებზე უფრო ღრმად ჩახედა სულიერი გაორების საშინელ უფსკრულებს. <...> ქრისტე და ანტიქრისტე, ღმერთკაცი და კაცღმერთი, მადონას კულტი და სოდომის გარყვნილება, ყოველივე ეს ცოცხალი გაორების „რეალური სიმბოლოებია“. ყველგან გაორება, ყველგან უფსკრული: ზედა და ქვედა“ (გვ.47).

რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაორების სიმბოლოების განლაგების *„გეომეტრიული წესიერების“* მიუხედავად, *„... უცნაურია: ზედა უფსკრულის ხატვისას ქვედა თითქოს მისი მხედველობის ველიდან სხლტება. <...> ქვედა უფსკრულს ის სარკისებრ სიღრმეში ხედავს. სარკე კი, როგორც სიმბოლო, თავის თავში სამყაროს საიდუმლოებას მალავს“* (გვ. 48). ამ „უცნაურობის“ ახსნას რობაქიძე არა მხოლოდ *სარკის,* არამედ *ნიღბის* სიმბოლიკითაც ცდილობს: *„ყველგან: სახე და ანარეკლი, „მე“ და ორეული“* (გვ. 48). ამ დაკვირვებასთან თანხვედრაშია რუსული რელიგიური ფილოსოფიის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ნიკოლაი ლოსკის განმარტება: *„სამყაროში მერეჟკოვსკი ორ უსასრულობას აღმოაჩენს, ზედა და ქვედა, სულსა და ხორცს, რომლებიც მისტიკურად იდენტურია <...> ისტორიული პროცესის მიზანია კაცობრიობისა და მთელი მსოფლიოს მიერ ღვთის სასუფევლის რეალიზება არა სხვა სამყაროში, არამედ აქ, დედამიწაზე“* (Лосский, 1991). და სწორედ კაცობრიობის მომავლის მერეჟკოვსკისეულ ხედვაზე საუბრობს რობაქიძე თავის წერილის მეხუთე, დასკვნით ნაწილში.

V. რუსი მოაზროვნის წინასწარმეტყველურ ნიჭზე საუბრისას რობაქიძე ისევ უბრუნდება მისი მისტიციზმის საკითხს: *„მსოფლიო ისტორია მერეჟკოვსკისთვის რაღაც სიმბოლოებში იხსნება <...> სიმბოლო კი მასთან რაღაც აზრს მალავს <...> აზრი, რომელიც სიმბოლოში იხსნება, სახეს მთლად არ აჩვენებს, ფარავს საიდუმლოს, და ამიტომ მერეჟკოვსკის მსოფლგაგება უმაღლესი გაგებით აშკარად მისტიკურია“* (გვ. 49).

რობაქიძე ახასიათებს მერეჟკოვსკის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საყრდენს, კერძოდ, სწორედ მის „მისტიციმში“ ხედავს იმის მიზეზს, რომ *„უკანასკნელ დროს მერეჟკოვსკიმ გნოსტიციზმიდან პრაგმატიზმისკენ, ჭვრეტის ფილოსოფიიდან ქმედების ფილოსოფიისკენ გადაინაცვლა. <...> მან ფილოსოფოსთა გავლენა განიცადა: ფრანგი ანრი ბერგსონისა და ამერიკელი უილიამ ჯემსის, რომელთაც რელიგიური პრაგმატიზმი ფილოსოფიურად დაასაბუთეს... <> „დოგმატის დედაარსი გონებას კი არ ეხსნება, არამედ ნებისყოფას, არა მართვას, არამედ კეთებას, – ამბობს მათ კვალდაკვალ მერეჟკოვსკი და უმატებს: – არა რაიმეს ცოდნა, არამედ რაიმეს სურვილი (ნდომა) და რაიმეს კეთებაა საჭირო იმისთვის, რომ დოგმატის დედაარსს ჩასწვდე“. ამ განწყობას გრძნობდა ტრილოგიაში ნ. ლოსკიც, როცა აღნიშნავდა, რომ „ისტორიული*

პროცესის მიზანია კაცობრიობისა და მთელი მსოფლიოს მიერ ღვთის სასუფევლის განხორციელება არა სხვა სამყაროში, არამედ აქ, დედამიწაზე" (Лосский, 1991). მაგრამ რობაქიძის აზრით, თავად მერეჟკოვსკის *„ნაკლებად, ვიდრე სხვა ვინმეს, აქვს ქმედების უნარი"* (გვ. 50). ამაზე მსჯელობისას რობაქიძეს მოჰყავს ერთ-ერთი ეპიზოდი ტრილოგიის მეორე რომანიდან („აღმდგარი ღმერთები. ლეონარდო და ვინჩი", 1900-1901). ამ ეპიზოდში აღწერილია თუ როგორ *„ერთდროულად შიშმა და ცნობისმოყვარეობამ მოიცვა [ლეონარდოს– ი.მ.]: შიში ბნელი გამოქვაბულის გამოკვლევის წინ და ცნობისმოყვარეობა – ხომ არ არის მასში რაღაც საოცარი საიდუმლო? მაგრამ მასში ცნობისმოყვარეობამ გაიმარჯვა"* (გვ. 51). რობაქიძე ამ ეპიზოდს ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს.

პლატონი გამოქვაბულის ალეგორიაში ფიზიკურ /მატერიალურ/ ცხოვრებას გულისხმობს, რომელიც გაიგება, როგორც „სულის საპყრობილე": იქ მყოფი ადამიანები იდეების არასრულყოფილ ანარეკლებს ხედავენ; ჭეშმარიტების ზიარება კი მხოლოდ გარეთ, ნათელშია შესაძლებელი. ასეთ გაგებას არ ეთანხმებოდა ნიცშე: მისთვის მიუღებელი იყო რეალურისა და იდეალურის დაპირისპირება. ლეონარდოს ეპიზოდს მერეჟკოვსკის რომანშიც განსხვავებული სიმბოლური დატვირთვა აქვს. შეცვლილია მოძრაობის მიმართულების ვექტორი: ჭეშმარიტება */„სულის საიდუმლო"/* დაცულია არა გარეთ /ნათელში/ნათლში/, არამედ გამოქვაბულის სიბნელეში /სულის სიღრმეში/, რაც მღვიმეში განმარტოების /რეალური ცხოვრებისგან დისტანცირების/, განდეგილობის მნიშვნელობის ქრისტიანულ გაგებასთანაც თანხვედრაშია[1].

ჯოკონდას თქმით, გამოქვაბულის ყველა საიდუმლოს შესაცნობად *„მხოლოდ ცნობისმოყვარეობა საკმარისი არ არის <...> საჭიროა სხვა რამ, უფრო დიდი, რათა ჩასწვდე საბოლოო და, შესაძლოა, გამოქვაბულის ყველაზე უცნაურ საიდუმლოებებს"* (გვ. 51). რობაქიძის აზრით, ამ *„უფრო დიდში"* იგულისხმება მოქმედება. მისი ინტერპრეტირებით, გამოქვაბულში დაცული საიდუმლოს შეცნობა შესაძლებელია, მაგრამ ადამიანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად ეს არასაკმარისია: ცოდნა საჭიროებს მოქმედებას, *„მაგრამ შესანიშნავია: მერეჟკოვსკის სხვა მაძიებელ ადამიანებზე უფრო ესმის, რომ რელიგია ნებისყოფიან აქტში იბადება, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე სხვა ვინმეს, აქვს ამ აქტის უნარი. იგი მჭვრეტელია ქმედების ნატამალის გარეშე: მისი ჭვრეტა უმოქმედობისთვისაა განწირული. შესაძლოა, აქ მისი ცხოვრებისეული დრამის საშინელი მომენტია: ვინ იცის!"* (გვ. 50), – აღნიშნავს იგი.

ნიშანდობრივია წერილის ბოლო დებულება/დასკვნა: რობაქიძის თქმით, მერეჟკოვსკი გრძნობს, რომ *„უკანასკნელი თავზარი (საშინელება) ჭექა-ქუხილსა და გრიგალში კი არა, არამედ ნელი ნიავის ქროლვაშია". მას ესმის ეს*

ქროლვა, მაგრამ არ ძალუძს, ჩვენ გადმოგვცეს იგი. ჩვენც რომ გავიგონოთ, აუცილებელია, თავდაპირველად ჭექა-ქუხილი და გრიგალი გადავიტანოთ...“ (გვ. 52).

„როგორც წესი, ტექსტის ფონი – ტექსტს მიღმა არსებული მოვლენებია“ (იხ. Белянин, 2016), ანუ ნებისმიერი ტექსტი, ამა თუ იმ ფორმით, მოიცავს ტექსტს მიღმა არსებული რეალური მოვლენების ანარეკლს. ხშირად ის რთულად შესამჩნევია, მაგრამ ამის მიუხედავად, ყოველთვის რაღაც რეალურ მოვლენაზე მიუთითებს. თუ რობაქიძის წერილის და ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიას შევადარებთ ნათელი ხდება, რომ „მოქმედებაში“ რობაქიძე გულისხმობს არა მხოლოდ სიმბოლისტების იმედებს რევოლუციურ ცვლილებებზე (იხ.: Модебадзе, 2016, გვ. 132-141) (და, შესაძლოა, მათი იმედგაცრუების წინაგრძნობასაც გამოხატავს), არამედ გადმოგვცემს თავის უკმაყოფილებას მერეჟკოვსკის მოღვაწეობის პრაქტიკული შედეგებით.

თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური იდეის განსახორციებლად მერეჟკოვსკიმ (ზ. გიპიუსის რჩევით) დააფუძნა „რელიგიურ-ფილოსოფიური შეხვედრები“ /„Религиозно-философские собрания»/. „შეხვედრები“ იმართებოდა „რუსული გეოგრაფიული საზოგადოების“ დარბაზში: 1901 წლის ნოემბრიდან 1903 წლის აპრილამდე შედგა სულ 22 „შეხვედრა“. „შეხვედრებზე“ სასულიერო პირები და „განათლებული საზოგადოების“ წარმომადგენლები მსჯელობდნენ ეკლესიის, ინტელიგენციისა და სახელმწიფოს ურთიერთობებზე, განიხილებოდა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხებიც, მაგრამ მერეჟკოვსკის იმედი ფილოსოფიური და რელიგიური წრეების შერწყმაზე არ გამართლდა. „შეხვედრებს“ არც პრაქტიკული სარგებლობა მოუტანია: ხალხის მომავალი ბედნიერებისთვის საჭირო *„რელიგიური აღორძინება“* ვერ შედგა. 1903 წელს „შეხვედრები“ აიკრძალა და მხოლოდ 1907 წელს დისკუსიები განახლდა „რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების“ („Религиозно-философское общество“, 1907-1916) სხდომებზე.

1908-1910 წლებში გრიგოლ რობაქიძე ხშირად სტუმრობდა პეტერბურგს (Гоголадзе, Миндиашвили, 2016, გვ. 198). როგორც „რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების“ წევრი, იგი ესწრებოდა სხდომებს და სწორედ ამ წლებში (1908-1909) იქ სიტყვით ხშირად გამოდიოდა პარიზიდან დაბრუნებული მერეჟკოვსკი[1].

დისკუსიების თემატიკა თანდათან იცვლებოდა (იხ.: Религиозно..., 2009) და ფილოსოფიური საზოგადოება სულ უფრო ემსგავსებოდა ლიტერატუ-

[1] პარიზში ჯერ კიდევ 1907 წელს რობაქიძემ პირადად გაიცნო მერეჟკოვსკი, ხშირად სტუმრობდა მის სალონს და ესწრებოდა მის ლექციებს (იხ.: Никольская, 1993, გვ. 124).

რულ-პუბლიცისტურ წრეს. 1909 წელს მერეჟკოვსკები ისევ გაიმგზავრნენ საფრანგეთში. ამ დროისთვის უკვე არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ დისკუსიებს არ შეუძლია ცხოვრების წესის შეცვლა და რეალობის გაუმჯობესება.

რობაქიძის წერილი გამოქვეყნდა 1909 წლის აპრილში. თავის ესსეში რობაქიძე მოიხმობს მერეჟკოვსკის სიტყვებს 1908 წლის აგვისტოში გაზეთ «Речь»-ში (№ 190) დაბეჭდილი წერილიდან (იხ.: Робакидзе, 1908). რა თქმა უნდა, იმას ვერ გამოვრიცხავთ, რომ 1908 წლის შემოდგომაზე მას უკვე ჰქონდა დაწყებული მუშაობა თავის ტექსტზე, მაგრამ აშკარაა, რომ ესსეს წერა რობაქიძემ 1909 წლის გაზაფხულზე დაასრულა. მერეჟკოვსკის ტრილოგია 1895-1905 წლებში იბეჭდებოდა. ცხადია, რომ ესსე დაიწერა არა როგორც გამოხმაურება ტრილოგიაზე, არამედ წარმოადგენს მერეჟკოვსკის ესთეტიკური და რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციების მრავალწლიანი გააზრების შეჯამებას. აღსანიშნავია, რომ ტრილოგიის 1904-1905 წლებში გამოქვეყნებული ბოლო რომანი რობაქიძის წერილში ნახსენები არ არის. როგორც ჩანს, მწერალს ნაკლებად აინტერესებდა მისი პრობლემატიკა („ისტორიული ქრისტიანობის“ /ეკლესიის/ სახელმწიფო ინტერესებთან თავსებადობის საკითხი[1]).

დაბოლოს, თავისი ფორმით და შინაარსით რობაქიძის წერილი ესსეისტიკის კლასიკურ ნიმუშად გვევლინება: როგორც წესი, ესსეისტიკაში თხრობის თანამიმდევრობა ექვემდებარება საავტორო მსჯელობის შინაგან ლოგიკას, ხოლო ნაწილები ერთმანეთთან ავტორისეული ასოციაციებითაა დაკავშირებული. თუ რობაქიძის ესსეს ტექსტის სტრუქტურირებას დავაკვირდებით (მსჯელობათა თანამიმდევრობას, თემიდან გადახვევებსა და დაბრუნებებს, ტრილოგიიდან მოხმობილ მაგალითებს და სხვა), ნათელი ხდება: ამ დროისთვის რობაქიძის ინტერესს უკვე არა მერეჟკოვსკის რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფცია წარმოადგენს, არამედ ისტორიის გააზრებისადმი მისი სიმბოლისტური მიდგომა და ისტორიოსოფიული რომანების შექმნის მხატვრული პრინციპებები.

რობაქიძის ამ ლიტერტურულ-კრიტიკული ესსედან ნათლად ვლინდება მისი შეფასებების თავისებურებანი. აღსანიშნავია, რომ თავის კრიტიკულ შეფასებებში იგი ბევრად წინ უსწრებდა იმდროინდელ კრიტიკას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მისთვის მერეჟკოვსკის ტრილოგია ისტორიის სიმბოლური ხედვის მნიშვნელობაზე და კაცობრიობის სავარაუდო მომავალზე საუბრის საბაბად იქცა.

[1] ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა პერიოდში სწორედ ეს რომანი (ბოლშევიკურ ინტერპრეტირებაში) აღმოჩნდა ყველაზე მოთხოვნადი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი, გრიგოლ რობაქიძე თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ენას, მათ შორის, გერმანულსა და რუსულს. 1922 წლის 9 ოქტომბერს კოტე მაყაშვილისათვის გაგზავნილ ბარათში ის წერდა: *„მე შემიძლია ათჯერ „რუსულად“ გამოვიდე, მაგრამ თანვე ასჯერ „ქართულად“ გამოვალ. ბოლოს და ბოლოს ეს შეძლების საქმეა და მისი დახარჯვა ჩემს ნებაშია*“ (ბაქრაძე, 2003: გვ. 149). კანადელი ლინგვისტის უილიამ მაკ-კეის განმარტებით, *„გამოყენების სიხშირის მიუხედავად*“ სწორედ, *„ორი ენის მონაცვლეობით გამოყენების უნარით განისაზღვრება ბილინგვიზმი*“ (იხ.: Mackey, 1970, გვ. 596-606). იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ გრიგოლ რობაქიძივით პოლილინგვა პიროვნებაზეც.

ენა – კულტურული იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. ენაში დაფიქსირებულია ძირითადი კულტურული ღირებულებები, რაც ხელს უწყობს „თავიანთი“ და „უცხოს“ გარჩევა-დიფერენცირებას. *„თავისი წარმოშობით ენა სოციალურია, მას ბავშვის ცნობიერება შეჰყავს კოლექტივის სოციალურ გამოცდილებაში“* (Белянин, 2003, გვ. 34). ემიგრანტებისათვის, მიგრანტებისათვის და მათი შთამომავლობისათვის დამახასიათებელია ბილინგვური, ან პოლილინგვური (მულტილინგვური) აზროვნება, რომელიც ყალიბდება უცხო კულტურასთან მჭიდრო კონტაქტისა, სხვადასხვა კულტურული გამოცდილების ათვისების და ვერბალურ-სემანტიკური კოდების შესწავლის შედეგად (იხ.: Легостаева, 2015а, გვ. 113-122; Легостаева, 2015б; Свитюк, 2017, გვ. 26-32). ცხადია, რომ ეს გარკვეულ გავლენას ახდენს მათ მსოფლმხედველობაზეც.

პოლილინგვა ნებისმიერი ადამიანისათვის დამახასიათებელია **ინტერფერენციისა** (მეორეზე პირველი ენის უარყოფითი გავლენისა) და **ტრანსფერის** (ერთი ენის უნარების მეორეზე გადატანის) ნიშნები. როგორც წესი, ამ ნიშნებით შესაძლებელია პიროვნების აზროვნებისათვის დამახასიათებელი დომინანტური (ძირითადი) ენის დადგენა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძის რუსულენოვნობაზე საუბრისას ეს წესი არ წესობს: რობაქიძის რუსულენოვან ნარატივში არც ენების შერწყმის ნიშნები და არც ე.წ. **ჰიბრიდების** (სხვადასხვა ენებიდან გადმოღებული კომპონენტებისაგან შექმნილი ნეოლოგიზმების) არსებობა არ შეინიშნება. მწერალი ტყუილად კი არ ამაყობდა თავისი რუსულით: „მე წიგნი მაქვს რუსული. გამოჩენილი რუსი მწერლები აღნიშნავენ ოდნავი გაკვირვებით, რომ არარუსი სწერს ასეთი სტილით. <....> მე მრავალ ქართველს ვუსურვებ ქართულად ისე ლაპარაკს, როგორც მე რუსულად ვმეტყველებ“ (ბაქრაძე, 2003, გვ. 149). მის რუსულენოვან ტექსტებში შეუძლებელია კულტურული მარკერების დადგენა: იგი არა მხოლოდ იყენებს სხვადასხვა ენებისათვის დამახასიათებელ ვერბალურ-სემანტურ კოდებს, არამედ

თავისუფლად აზროვნებს სხვადასხვა ენობრივ სივრცეებში (ე.წ. „მხატვრულ ბილინგვიზმზე“ იხ.: Логинова, Кораблева, 2014). ცხადია რომ, ვინაიდან ბი- და პოლილინგვიზმი არა იმდენად ლინგვისტური, რამდენად სოციოკულტურული მოვლენაა, პოლილინგვა პიროვნების კულტურული იდენტობის დადგენა მხოლოდ ენობრივი მაჩვენებლით თითქმის შეუძლებელია, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ბი- და პოლოლინგვების აზროვნებისა და ფსიქოლოგიური თავისებურებათა შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესია და სავარაუდოდ სწორედ აქ შესაძლებელია კულტურული იდენტობის კიდევ ერთი მარკერის გამოყოფა.

ესსე «Мережковский» დაწერილია რუსულ ენაზე. გრიგოლ რობაქიძის რუსულენოვანი ტექსტის და მისი ქართულენოვანი თარგმანის შეჯერებამ გამოავლინა ძალზე საყურადღებო ფაქტი: ნათარგმნი ტექსტი ორიგინალზე მეტად აღიქმება სრულყოფილ ერთობლიობად. ამავდროულად მანანა კვატაიას მიერ შესრულებული თარგმანი არა მხოლოდ ორიგინალის ადეკვატურია, არამედ თითქმის პწკარედული ხასიათისაა – მთარგმნელს არ დასჭირდა ორიგინალის დომესტიკაცია (კულტურული ადაპტაცია /domesticus – მოშინაურება/). ამაზე მეტიც: თუ ესსეს სტრუქტურას დავაკვირდებით, ნათელი ხდება, რომ რობაქიძის ნარატივი ექვემდებარება არა რუსულ ან ევროპულ კულტურებში მიღებულ, არამედ ქართული აზროვნება-მეტყველებისათვის დამახასიათებელ არგუმენტირების ტრადიციას. საქმე იმაში გახლავთ, რომ რუსულ (და ევროპულ) ტრადიციაში ნებისმიერი დებულების მტკიცება ყოველთვის მიჰყვება სწორხაზოვან ლოგიკას: მტკიცებულებათა განვითარების კომპოზიცია, როგორც წესი, *პრობლემური* ან ე.წ. *საფეხურობრივი* ხასიათისაა, ხოლო ქართულში გაცილებით ხშირად გვხდება რიტორიკულ სტილთან დაახლოვებული არგუმენტირების *სპირალური* კომპოზიცია (იხ.: Модебадзе, 2008, გვ. 275-280; Modebadze, 2011, გვ. 283-299). ავტორი რამდენიმეჯერ უბრუნდება მსჯელობის საგანს, მაგრამ ყოველივე სპირალური შემობრუნება აშუქებს ამ საგნის ახალ რაკურსს. სწორედ ამ პრინციპს ექვემდებარება რობაქიძის ესსეს ნარატივიც.

რობაქიძის ესსეს პირველი ნაწილი მთლიანად მიძღვნილია მერეჟკოვსკის სიმბოლიზმს – მასში განიხილება ტრილოგიის *„მხატვრული სიმბოლოების სქემა“.* მეორე ნაწილში, იბსენთან შედარებისას, რობაქიძე ისევ უბრუნდება ამ თემას, მაგრამ აქ უკვე აფასებს „ივლიანე განდგომილის“ *„სიმბოლურ აზრს“.* მერეჟკოვსკის სიმბოლიზმზე იგი საუბრობს მესამე ნაწილშიც, სადაც ყურადღებას ამახვილებს ისტორიის მერეჟკოვსკისეულ სიმბოლურ აღქმაზე: *„მისთვის ისტორია გეომეტრიულად დასრულებულ სიმბოლოთა რიგია“.* მეორე ნაწილი მთლიანად ეძღვნება მერეჟკოვსკის ტრილოგიის მხატვრულობის *„მისტიციზმს“*, როდესაც მწერლისთვის ნათელ (გამოქვაბულში გამოცხადე-

ბულ) ჭეშმარიტებას მკითხველი მხოლოდ მისი ნაწარმოების სიმბოლური მნიშვნელობით თუ მიხვდება, მაგრამ არც ამით სრულდება ამ თემის განხილვა – რობაქიძე ისევ უბრუნდება მას ესსეს ბოლო ნაწილში, სადაც ყურადღებას ამახვილებს მერეჟკოვსკის „მისტიციზმთან“ დაკავშირებულ რუსი მოაზროვნის წინასწარმეტყველურ ნიჭზე და ა.შ.

ავტორის აზრი თავისუფლად მიჰყვება ასოციაციებს – იგი იმდენჯერ უბრუნდება სიმბოლიზმის თემას, თუ რამდენჯერ საჭიროდ თვლის მკითხველის ყურადღების მიქცევას მის სხვადასხვა მხარეზე. ნათელია, რომ ამგვარი სპირალური შემობრუნებები, ცხადჰყოფს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რობაქიძე ამ თემას. ამავდროულად, ჩვენი აზრით, მსჯელობის ამგვარი სტრუქტურირება ქართული ცნობიერების დომინირებისა და ქართული მეტყველების კულტურის ტრანსფერის დასტურიცაა. სპირალური შემობრუნებები შეინიშნება რობაქიძის სხვა რუსულენოვან ლიტერატურულ-კრიტიკულ ესსეებშიც. რა თქმა უნდა, თავისი აზრის გამოხატვაში ლიტერატურულ-კრიტიკული ესსეს ავტორი გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე კრიტიკული წერილისა ან ნარკვევის; ესსეისტიკაში თხრობის სტილი ექვემდებარება მხოლოდ ავტორის შინაგან ლოგიკას, მაგრამ ნათელია, რომ რობაქიძის შინაგანი ხმა ჟღერდა ქართულ ენაზე. იგივე შეიძლება ითქვას მის გერმანულზეც.

პოლილინგვა პიროვნებისთვის ერთი რომელიმე ენა დომინანტურია – ძირითადი. ენების თანაფარდობა შეიძლება შეიცვალოს თუ შეიქმნება შესაბამისი პირობები: ერთ-ერთი ენა შეიძლება ნაწილობრივ დეგრადირდეს (ენობრივი **ატრიცია** /გამოფიტვა/), შეწყვიტოს განვითარება (**ფოსილიზაცია** /გაქვავება/), მოძველდეს (**ენის ცვლა**), ამოვარდეს გამოყენებიდან (**ენის სიკვდილი**). რობაქიძის დომინანტურ ენად რჩებოდა ქართული. მისი ძირითადი რომანები გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე. აკ. ბაქრაძეს მოჰყავს რობაქიძის ჩეხ ქართველოლოგ იარომირ იედლიჩკასადმი წერილიდან მისი აღიარება: *„მე ვწერ ჯერ ქართულად, შემდეგ ვთარგმნი, და რადგანაც თვითონ ვთარგმნი, ვთვლი თარგმანს დედნის ტოლფასოვნად“* (ბაქრაძე, 2003 , გვ. 234). შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად თავისი პოლილინგვიზმისა, რა ქვეყანაში არ ცხოროობდა და რა ენაზე არ წერდა გრიგოლ რობაქიძე, იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქართულად მოაზროვნე მწერლად რჩებოდა.

შენიშვნა:

1. საკრალური მნიშვნელობა ბუნებრივ მღვიმეებს ენიჭებოდა უძველესი დროიდან: მათი სივრცე აღიქმებოდა როგორც პროფანული და საკრალური სამყაროების გამაერთიანებელი ცენტრი. მრავალ მსოფლიო რელიგიაში მღვიმეში განმარტოება და ლოცვა (მედიტაციის მეშვეობით სულიერი განწმენდა /ამაღლება/) მიიჩნეოდა უზენაისი ჭეშმარიტების შეგრძნების მიღწევის გზად. შინაგანი ძალების გასაღვიძებლად საკუთარი სულის სიღრმეებში წვდომისკენ მოუწოდებდა კაცობრიობას მითოლოგიის ამერიკელი მკვლევარი ჯოზეფ კემპბელი (Joseph John Campbell; 1904-1987) როცა ამბობდა "*The cave you fear to enter holds the treasure you seek*" /„გამოქვაბულში, რომელშიც შესვლის გეშინია, დაცულია განძი, რომელსაც ეძებ"/.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაქრაძე, აკ. (2003). კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბილისი: „ლომისი".

რობაქიძე, გრიგოლ (2014). *ომი და კულტურა.* თბილისი: „არტანუჯი". ISBN 9789941445774

რობაქიძე, გრიგოლ (2012). *„Pro domo sua"* (გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ), თბილისი: „არტანუჯი". ISBN: 978-9941-421-86-0

Mackey, William F. (1970). A typology of bilingual education. "*Foreign language annals" 3.4*, 596-606.

Modebadze, Irine (2011). Conceptualizacions du monde et traductions en russe des recherches sur la literature géorgienne ancienne. La traduction: philosophie et tradition. /Christian Berner, Tatiana Miliares (Editors). France: PU DU SEPTENTRION, 283-299. ISBN: 978-2757403570.

Белянин, В. П. (2016). Психолингвистика: Учебник. Москва: Изд-во ФЛИНТА. http://lib.ysu.am/open_books/413123.pdf).

Белянин, В. П. (2003). Психолингвистика. Москва: МПСИ. https://bilingual-online.net/wp-content/uploads/2011/01/Chto_takoe_dvujazychie.pdf

Бердяев, Н. А. (2001). Новое христианство (Д. С. Мережковский). *Д. С. Мережковский: pro et contra.* СПб. http://www.vehi.net./merezhkovsky/berdyaev.html

Веселова Н. Ю., Овчаренко О. А. (2011). Заглавие. *Теория литературы, т. II. Произведение.* Москва: ИМЛИ РАН, 199-230.

Гоголадзе Тамар, Миндиашвили Нино (2016). Дмитрий Мережковский в восприятии Григола Робакидзе (к постановке проблемы). *Toronto Slavic Quaterly Academic Journal in Slavic Studies,* 57. ISSN 1925-2978. https://www.researchgate.net/publication/328422761_Tamar_Gogoladze_Nino_Mindiasvili_Dmitrij_Merezkovskij_v_vospriatii_Grigola_Robakidze_k_postanovke_problemy

Легостаева, О. В. (2015 ა). Лингвистическая составляющая билингвизма. 113-122 https://cyberleninka.ru/article/n/lingvisticheskaya-sostavlyayuschaya-bilingvizma/ viewer

Легостаева, О. В. (2015 ბ). Психологическая составляющая билингвизма. *Актуальные вопросы психологии и педагогики,* https://cyberleninka.ru/article/n/psihologicheskaya-sostavlyayuschaya-bilingvizma/ viewer

Логинова Т. Г., Кораблева В. В. (2014). Художественный билингвизм как лингвистический феномен. https://cyberleninka.ru/article/n/hudozhestvennyy-bilingvizm-kak-lingvisticheskiy-fenomen/viewer

Лосский, Н. О. (1991). *История русской философии. Глава XXIII: Философские идеи поэтов символистов:* 3. – Д. С. Мережковский. Москва: Советский писатель. https://www.vehi.net/nlossky/istoriya/23.html

Минц, З. Г. (2004). О трилогии Д. С. Мережковского «Христос и Антихрист». *Поэтика русского символизма.* СПб.: «Искусство-СПб», 223-241.

Модебадзе, Иринэ (2016). «Революция и поэты». Особое мнение: Тициан Табидзе. *X საერთაშორისო სიმპოზიუმი „მოდერნიზმი ლიტერატურაში. გარემო, თემები, სახელები“,* II. თბილისი: Ivane Javakhishvili Tbilisi State Univertity Press, 132-141. ISBN 978-9941-13-588-0

Модебадзе, И. (2008). О некоторых аспектах коммуникативных технологий в сфере научного перевода. *„ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები“.* თბილისი, 275-280. ISBN 978-9941-14-161-4 https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/193303?mode=full

Никольская, Татьяна (1993). Г. Робакидзе и русские символисты. *Блоковский сборник XII.* Тарту: Tartu Ülikooli Kirjastus, 124-130; http://www.ruthenia.ru/reprint/blok_xii/nikolskaja.pdf.

Полонский, Вадим (2009). *Мережковский, Дмитрий Сергеевич.* https://www.webcitation.org/61AvlQaWY?url=http://www.krugosvet.ru/enc/kultura_i_obrazovanie/literatura/MEREZHKOVSKI_DMITRI_SERGEEVICH.html

Полонский, В.В. (2008). *Мифопоэтика и динамика жанра в русской литературе конца XIX – начале XX века.* Москва: Наука. ISBN 978-5-02-036279-6. https://biblio.imli.ru/images/abook/russliteratura/Polonskiy_mifopoetika_i_dinamika_zhanra_v_russkoy_literature_XIX-XX_2008.pdf

Религиозно-философское общество в Санкт-Петербурге (Петрограде). (2009). Т.1. 1907-1909. Москва: Русский путь, ISBN 978-5-85887-313-6 (т. 1) https://predanie.ru/book/219131-religiozno-filosofskoe-obschestvo-v-sankt-peterburge-petrograde-t-1-1907-1909/

Робакидзе, Григол (1908). «Речь», 190. http://elib.shpl.ru/ru/nodes/78192-locale-nil-190-10 avg#mode/inspect/page/1/zoom/8

Свитюк, С.Ю. (2017). Общие представления о билингвизме в психологии. *Психология в экономике и управлении.* Е.9, 2, 26-32. DOI 10.17150/2225-7845.2017.9(2). https://cyberleninka.ru/article/n/obschie-predstavleniya-o-bilingvizme-v-psihologii/viewer

References:

Bakradze, Ak'. (2003). *K'ardu anu Grigol Robakidzis tskhovreba da ghvats'li.* [Kardu, or the Life and Contributions of Grigol Robakidze]. Tbilisi: „Lomisi".

Belyanin V. P. (2016). *Psikholingvistika: Uchebnik*. [Psycholinguistics: Textbook]. Moskva: FLINTA. http://lib.ysu.am/open_books/413123.pdf).

Belyanin V. P. (2003). *Psikholingvistika.* [Psycholinguistics]. Moskva: MPSI. https://bilingual-online.net/wp-content/uploads/2011/01/Chto_takoedvujazychie. pdf

Berdyaev N.A. (2001). Novoe Khristianstvo [New Christianity (D.S. Merezhkovsky)]. *D.S. Merezhkovsky: pro et contra*. St. Petersburg, http://www.vehi.net./merezhkovsky/berdyaev.html

Gogoladze Tamar, Mindiashvili Nino (2016). Dmitriy Merezhkovskiy v vospriyatii Grigola Robakidze (k postanovke problemy). [Dmitry Merezhkovsky as perceived by Grigol Robakidze (towards the formulation of the problem)]. *Toronto Slavic Quaterly Academic Journal in Slavic Studies,* 57. ISSN 1925-2978. https://www.researchgate.net/publication/328422761_Tamar_Gogoladze_Nino_Mindiasvili_Dmitrij_Merezkovskij_v_vospriatii_Grigola_Robakidze_k_postanovke_problemy

Legostaeva, O. V. (2015 ა). Lingvisticheskaya sostavlyayushchaya bilingvizma. [The Linguistic Component of Bilingualism]. 113-122 https://cyberleninka.ru/article/n/lingvisticheskaya-sostavlyayuschaya-bilingvizma/ viewer

Legostaeva, O. V. (2015 ბ) Psikhologicheskaya sostavlyayushchaya bilingvizma. [The Psychological Component of Bilingualism]. https://cyberleninka.ru/article/n/psihologicheskaya-sostavlyayuschaya-bilingvizma/ viewer

Loginova T. G., Korableva V. V. (2014). Khudozhestvennyy bilingvizm kak lingvisticheskiy fenomen. [Artistic bilingualism as a linguistic phenomenon]. https://cyberleninka.ru/article/n/hudozhestvennyy-bilingvizm-kak-lingvisticheskiy-fenomen/viewer

Losskiy, N.O. (1991). Istoriya russkoy filosofii. Glava XXIII: Filosofskiye idei poetov simvolistov: 3. – D. S. Merezhkovskiy. [History of Russian Philosophy. Chapter XXIII: Philosophical Ideas of the Symbolist Poets: 3. D. S. Merezhkovsky]. Moscow: Sovetsky Pisatel. https://www.vehi.net/nlossky/istoriya/23.html

Mackey, William F. (1970). A typology of bilingual education. "*Foreign language annals" 3.4*, 596-606.

Mints, Z. G. (2004). O trilogii D. S. Merezhkovskogo «Khristos i Antikhrist». Poetika russkogo simvolizma. [On D. S. Merezhkovsky's trilogy "Christ and Antichrist"]. St. Petersburg: «Iskusstvo-SPb», 223-241.

Modebadze, Irine (2016). «Revolyutsiya i poety». Osoboye mneniye: Titsian Tabidze. ["Revolution and Poets". Special Opinion: Titsian Tabidze]. X International Symposium Contemporary Issues of Literary Criticism. Modernism in Literature Environment, Themes, Names. Ivane Javakhishvili Tbilisi State Univertity Press, 132-141. ISBN 978-9941-13-588-0.

Modebadze, Irine (2011). Conceptualizacions du monde et traductions en russe des recherches sur la literature géorgienne ancienne. [Conceptualizations of the world and translations into Russian of research on ancient Georgian literature]. La traduction: philosophie et tradition. /Christian Berner, Tatiana Miliares (Editors). France: PU DU SEPTENTRION, 283-299. ISBN: 978-2757403570.

Modebadze, Irine (2008). O nekotorykh aspektakh kommunikativnykh tekhnologiy v sfere nauchnogo perevoda. [Some Aspects of the Use of Communicative Technologies in Scientific Translations]. "*Verbal Communication techniques*". Tbilisi, 275-280. ISBN 978-9941-14-161-4 https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/193303?mode=full

Nikol'skaya, Tat'yana (1993). G. Robakidze i russkiye simvolisty. Blokovskiy sbornik [G. Robakidze and Russian Symbolists. Blok collection XII]. Tapry: Tartu Ülikooli Kirjastus, 124-130; http://www.ruthenia.ru/reprint/blok_xii/nikolskaja.pdf.

Polonskiy, Vadim (2009). Merezhkovskiy, Dmitriy Sergeyevich. [Merezhkovsky, Dmitry Sergeevich]. https://www.webcitation.org/61AvlQaWY?url=http://www.krugosvet.ru/enc/kultura_i_obrazovanie/literatura/MEREZHKOVSKI_DMITRI_SERGEEVICH.html

Polonskiy, V.V. (2008). Mifopoetika i dinamika zhanra v russkoy literature kontsa XIX – nachale XX veka. [Mythopoetics and the dynamics of genre in Russian literature of the late 19th – early 20th centuries]. Moscow: Nauka, ISBN 978-5-02-036279-6. https://biblio.imli.ru/images/abook/russliteratura/Polonskiy_mifopoetika_i_dinamika_zhanra_v_russkoy_literature_XIX-XX_2008.pdf

Religiozno-filosofskoye obshchestvo v Sankt-Peterburge (Petrograde). T.1. 1907-1909. [Religious and Philosophical Society in St. Petersburg (Petrograd). Vol. 1. 1907–1909]. Moscow: Russkiy Put, 2009. ISBN 978-5-85887-313-6 (vol. 1) https://predanie.ru/book/219131-religiozno-filosofskoe-obschestvo-v-sankt-peterburge-petrograde-t-1-1907-1909/

Robakidze, Grigol (2014). *Omi da k'ult'ura*. [War and Culture.]. Tbilisi: "Artanuji". ISBN 9789941445774

Robakidze, Grigol (2012). *„Pro domo sua"*. Tbilisi: „Artanuji".ISBN: 978-9941-421-86-0

Robakidze, Grigol. (2004). Zvezda, 9.

Robakidze, G. (1923). Pro domo sua. Plamya, 19.

Robakidze, Grigol (1908). «Rech'», 190. http://elib.shpl.ru/ru/nodes/78192-locale-nil-190-10-avg#mode/inspect/page/1/zoom/8

Svituk Svetlana Yu. (2017). Obshchiye predstavleniya o bilingvizme v psikhologii. [General concepts of bilingualism in psychology]. *Psychology in Economics and Management,* 2017, vol. 9, no. 2, 26-32. https://cyberleninka.ru/article/n/obschie-predstavleniya-o-bilingvizme-v-psihologii/viewer

Veselova N.Yu., Ovcharenko O.A. (2011). *Zaglaviye.* Teoriya literatury, t. II. Proizvedeniye. [Theory of Literature, Vol. II. *Title*]. Moscow: IMLI RAS, 199-230.